ფრიდრიხ ავგუსტ
ფონ ჰაიეკი

თავისუფლების
კონსტიტუცია

საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი, 2021

Friedrich August
von Hayek

THE CONSTITUTION OF LIBERTY

The University of Georgia Publishing House
Tbilisi, 2021

ფრიდრიხ ავგუსტ ფონ ჰაიეკი
თავისუფლების კონსტიტუცია

ქართულზე თარგმნა: **მარინე ერემაშვილი**
სამეცნიერო რედაქტორი: **ალექსანდრე რაქვიაშვილი**
ლიტერატურული რედაქტორი: **მარინა ჟღენტი**
დიზაინერი: **ნათია რუხაძე**

საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა © 2021
77ა მ.კოსტავას ქუჩა, თბილისი, 0171, საქართველო
ტელ.: 2 55 22 22

The University of Georgia Publishing House © 2021
M. kostava Str. 77a, Tbilisi, 0171, Georgia
Tel.: 2 55 22 22

Friedrich August von Hayek
THE CONSTITUTION OF LIBERTY

Copyright © 1960, 2011 by the University of Chicago

All rights reserved. Authorised translation from the English language edition published by Routledge, a member of the Taylor & Francis Group

ISBN 978-9941-9707-6-4

მადლობა მურთაზ კიკორიას და ნუცა კოღუაშვილს “თავისუფლების კონსტიტუციის” ქართულად თარგმნის იდეისა და მისი განხორციელების ხელშეწყობისათვის.

სარჩევი

წინასიტყვაობა 13
მადლიერება 15
შემოკლებების სია 19
შესავალი 21
ნაწილი I *თავისუფლების ფასეულობა* 31
თავი 1 თავისუფლება და თავისუფლებები 33
თავი 2 თავისუფალი ცივილიზაციის შემოქმედებითი ძალები 53
თავი 3 პროგრესი საღი აზრის თვალსაზრისით 75
თავი 4 თავისუფლება, გონება და ტრადიცია 95
თავი 5 პასუხისმგებლობა და თავისუფლება 123
თავი 6 თანასწორობა, ფასეულობა, დამსახურებები 141
თავი 7 უმრავლესობის მმართველობა 165
თავი 8 დაქირავებული შრომა და დამოუკიდებლობა 187
ნაწილი II *თავისუფლება და კანონი* 205
თავი 9 იძულება და სახელმწიფო 207
თავი 10 კანონი, ბრძანებები და წესრიგი 227
თავი 11 კანონის უზენაესობის პრინციპის საწყისები 247
თავი 12 ამერიკული წვლილი: კონსტიტუციონალიზმი 277
თავი 13 ლიბერალიზმი და ადმინისტრაცია: Rechtsstaat 307
თავი 14 ინდივიდუალური თავისუფლების დაცვის მექანიზმები 329
თავი 15 ეკონომიკური პოლიტიკა და კანონის უზენაესობა 355
თავი 16 კანონის დაკნინება 373
ნაწილი III *თავისუფლება სოციალურ სახელმწიფოში* 399
თავი 17 სოციალიზმის დაქცევა და სოციალური სახელმწიფოს აღზევება 401
თავი 18 პროფკავშირები და დასაქმება 421
თავი 19 სოციალური უზრუნველყოფა 447
თავი 20 დაბეგვრა და გადანაწილება 477
თავი 21 ფულადი სისტემა 503
თავი 22 საცხოვრებელი და ქალაქგეგმარება 523
თავი 23 სოფლის მეურნეობა და ბუნებრივი რესურსები 545
თავი 24 განათლება და მეცნიერული კვლევები 565
ბოლოსიტყვაობა. რატომ არ ვარ კონსერვატორი 589

ჩვენი კვლევა რაიმე სრულყოფილს არ ისახავს მიზნად, რადგან კარგად არის ცნობილი, რომ ადამიანთა შორის მსგავსი არაფერი არსებობს; მაგრამ ჩვენ ადამიანებისთვის ისეთ კონსტიტუციას ვეძებთ, რომელიც ყველაზე ნაკლებ, ან სულ მცირე, ყველაზე ადვილად საპატიებელ უხერხულობებთან არის დაკავშირებული.

— ალჯერნონ სიდნეი*

*Sidney A. Discourses Concerning Government. London: Printed and are to be sold by booksellers of London and Westminster, 1698. P. 142

უცნობ ცივილიზაციას, რომელიც
ამერიკაში იზრდება.

წინასიტყვაობა

წინამდებარე წიგნის მიზანს შესავალში განვმარტავ, მადლიერებას ამ წინასიტყვაობის შემდეგ რამდენიმე აბზაცში გამოვხატავ. აქ კი ისღა დამრჩენია, მკითხველები გავაფრთხილო და მოვუბოდიშო მათ.

ამ წიგნში მხოლოდ იმის შესახებ არ იქნება საუბარი, რასაც მეცნიერება გვასწავლის. თუმცა, ვერ დავწერდი ამ წიგნს, ჩემი ცხოვრების უდიდესი ნაწილი ეკონომიკური თეორიის შესწავლისთვის რომ არ მიმეძღვნა, ხოლო ბოლო წლებში არ მეცადა გავცნობოდი ზოგიერთი სხვა საზოგადოებრივი მეცნიერების დასკვნებს, აქ არც მხოლოდ ფაქტებით ვიფარგლები და არც მხოლოდ მიზეზ-შედეგობრივი კავშირების აღწერით. ჩემი ამოცანაა, გამოვსახო იდეალი, ვაჩვენო, თუ როგორ შეიძლება მისი მიღწევა, და განვმარტო, თუ რას ნიშნავს მისი განხორციელება პრაქტიკაში. ამიტომ სამეცნიერო განსჯა საშუალებაა და არა მიზანი. მიმაჩნია, რომ პატიოსნად გამოვიყენე ცოდნა იმ სამყაროს შესახებ, რომელშიც ვცხოვრობთ. მკითხველმა თავად უნდა გადაწყვიტოს, სურს თუ არა იმ ფასეულობების მიღება, რომელთა სამსახურშიც ჩავაყენე ეს ცოდნა.

ბოდიში კი მინდა მოვიხადო იმ ფორმისთვის, რომლითაც გადავწყვიტე მკითხველის წინაშე ჩემი შრომის ნაყოფის წარდგენა. რაც უფრო ამბიციურია ამოცანა, მით ნაკლებად ადეკვატური იქნება მისი შესრულება – ამას, ალბათ ვერ გავექცევით. როდესაც საგანი იმდენად ყოვლისმომცველია, როგორიც ის ამ წიგნშია, უსასრულობამდე, სანამ ავტორს ძალა შესწევს, შეიძლება მისი სრულყოფა. მალე უეჭველად აღმოვაჩენ, რომ ესა თუ ის აზრი უკეთ უნდა ჩამომეყალიბებინა ან რომ ისეთი შეცდომები დავუშვი, რომელთა გამოსწორებაც შემეძლო, ცოტა კიდევ რომ მემუშავა. მკითხველისადმი პატივისცემა, რა თქმა უნდა, მოითხოვს, რომ მას მეტ-ნაკლებად დასრულებული ტექსტი მივაწოდოთ, მაგრამ არა მგონია, რომ ამისთვის ავტორმა მანამდე უნდა იცადოს, სანამ წიგნის გაუმჯობესების არავითარი იმედი აღარ დარჩება. ყოველ შემთხვევაში, როდესაც ისეთი პრობლემების შესახებაა ლაპარაკი, რომლებზეც მრავალი ადამიანი აქტიურად მუშაობს, ზედმეტი თვითდაჯერებულობა იქნებოდა გამოქვეყნების გადავადება მანამ, სანამ არ დარწმუნდები, რომ აღარაფერია გასაუმჯობესებელი. თუ ადამიანმა შეძლო, მე კი ვიმედოვნებ, რომ შევძელი, თუნდაც ერთი ნაბიჯით წინ წაეწია ანალიზი, შემდგომი დახვეწა, ალბათ, სულ უფრო და უფრო უკან დახევს მას. შესაძლოა, სხვები უკეთ შეძლებენ, რომ გააგრძელონ ჩემი დაწყებული შენობის მშენებლობა, ამიტომ უბრალოდ ვიტყვი, რომ ამ წიგნზე მანამდე ვმუშაობდი, სანამ არ მივხვდი, რომ მთავარი არგუმენტის უფრო მოკლე ფორმით წარმოდგენა არ შემეძლო.

ვფიქრობ, მკითხველმა ასევე უნდა იცოდეს, რომ თუმცა ამერიკის შეერთებულ შტატებში ვწერ და თითქმის ათი წელია, რაც ამ ქვეყანაში ვცხოვრობ, არ მაქვს პრეტენზია ამერიკელივით ვწერდე. ჩემი აზროვნება ავსტრიაში ჩამოყალიბდა, სადაც დავიბადე და ახალგაზრდობა გავატარე, შემდეგ – დიდ ბრიტანეთში, სადაც მოწიფულ ასაკში ორი ათწლეულის განმავლობაში ვიცხოვრე, ამ ქვეყნის მოქალაქე გავხდი და დღესაც მისი მოქალაქე ვარ. ამის ცოდნა, შესაძლოა, მკითხველს გამოადგეს, რადგან ამ გარემოებებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია წიგნზე.

ფ. ა. ჰაიეკი
ჩიკაგო
1959 წლის 8 მაისი

მადლიერება

ბევრი რამ, რის თქმაც ვცადე ამ წიგნით, ჩემამდე იყო დაწერილი, თანაც ისე, რომ არა მგონია, უკეთესად შევძლო მათი გადმოცემა, მაგრამ ეს მოსაზრებები დაქსაქსულად იყო წარმოდგენილი და გვხვდებოდა ისეთ ნაშრომებში, რომლებსაც ნაკლებ სავარაუდოა, თანამედროვე მკითხველი იცნობდეს. ამიტომ გადავწყვიტე, რომ უკეთესი იქნებოდა, თუ შენიშვნები გასცდებოდა იმ წიგნებსა და სტატიებზე უბრალო მითითებების ფარგლებს, რომლებიც არსებითად ინდივიდუალისტური ლიბერალური აზროვნების ანთოლოგიად ყალიბდება. ამ ციტატებმა უნდა აჩვენოს, რომ ის იდეები, რომლებიც დღეს უცნაურად და ახლად გვეჩვენება, ოდესღაც ჩვენი ცივილიზაციის საერთო მემკვიდრეობა იყო, და ისიც, რომ თუ ამ ტრადიციას ვეყრდნობით, უნდა ვეცადოთ, ლოგიკურად გავაერთიანოთ ეს იდეები უშუალოდ ჩვენი დროისთვის გამოსაყენებელი აზრის ერთიან კორპუსად. საკუთარ თავს ასეთი ვრცელი შენიშვნების გაკეთების უფლება სწორედ იმ სამშენებლო ბლოკების საჩვენებლად მივეცი, რომლებითაც ახალი შენობის აგება ვცადე. თუმცა ეს ჯერ კიდევ არ არის საგნის ირგვლივ არსებული სრული ბიბლიოგრაფია. მნიშვნელოვან ავტორთა სასარგებლო ჩამონათვალი შეგიძლიათ მოიძიოთ წიგნში *Hazlitt H.* The Free Man's Library. Princeton, NJ: Van Nostrand, 1956.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ შენიშვნებით არ ამოიწურება იმ ადამიანთა სია, რომელთა წინაშეც ვალში ვარ. ბუნებრივია, რომ ჩემი იდეების წრე მანამდე ჩამოყალიბდა, სანამ ამ წიგნის დაწერას ჩავიფიქრებდი. მას შემდეგ, რაც მისი მომზადება დავიწყე, მცირედ ვკითხულობდი იმ ავტორთა ნაშრომებს, რომლებსაც უპირობოდ ვეთანხმებოდი, რადგან წარსულში უკვე ბევრი რამ მქონდა მათგან ნასწავლი. კითხვისას ჩემი პოზიციის საწინააღმდეგო პოზიციებს ვეძიებდი, იმ არგუმენტებს, რომლებიც უნდა უარმეყო, ფორმებს, რომლებშიც ეს იდეები აისახებოდა წარსულში. შედეგად, ამ ფურცლებზე იშვიათად ჩნდება იმათი სახელები, ვინც ყველაზე მეტი დახმარება გამიწია ჩემი იდეების ჩამოყალიბებაში, ჩემი მასწავლებლებისა და თანამოაზრეების სახელები. მე რომ ყველა იმ პიროვნების მოხსენიება დამესახა მიზნად, რომელთაც ვეთანხმები და რომელთაგანაც დავალებული ვარ, ეს შენიშვნები ლუდვიგ ფონ მიზესის, ფრენკ ჰ. ნაიტისა და ედვინ კენანის, ვალტერ ოიკენისა და ჰენრი საიმონსის, ვილჰელმ როპკესა და ლაიონელ რობინსის, კარლ პოპერის, მაიკლ პოლანისა და ბერტრან დე ჟუვენელის შრომებზე მითითებებით გაივსებოდა. მე რომ გადამეწყვიტა ეს წიგნი მიმეძღვნა მათთვის, ვისგანაც ყველაზე მეტად ვარ დავალებული, მას მონტ პელერინის საზოგადოებას, განსაკუთრებით კი ამ საზოგადოების ორ ინტელექტუალურ ლიდერს – ლუდვიგ ფონ მიზესსა და ფრენკ ჰ. ნაიტს მივუძღვნიდი.

ბევრმა ადამიანმა უფრო კონკრეტული დახმარებაც გამიწია და მინდა მათ აქ მადლობა მოვახსენო. ედუარდ კ. ბენფილმა, ჩესტერ ი. ბარნარდმა, უ. გ. ბუკმა, ჯონ დავენპორტმა, პიერ ფ. გუდრიჩმა, ვალტერ ფროლიხმა, დევიდ გრინმა, ფლოიდ ჰარპერმა, დევიდ გ. ჰატონმა, არტურ კემპმა, ფრენკ ჰ. ნაიტმა, უილიამ ლ.-მ და შირლი ლეტვინმა, ფრიც მახლუპმა, ლორენს უ. მარტინმა, ლუდვიგ ფონ მიზესმა, ალექსანდრ მორინმა, ფელიქს მორლიმ, სილვესტრ პეტრომ, დ. გ. რეისმა, გერალდ შტურცმა, რალფ ტურვიმ, ჩ. ი. ვანგმა და რიჩარდ ვეემ ამ წიგნის სხვადასხვა ნაწილების ხელნაწერები წაიკითხეს და თავისი შენიშვნებით დამეხმარნენ. ბევრმა მათგანმა, ასევე აარონ დაირექტორმა, ვიქტორ ერენბერგმა, დუნკან ფორბსმა, მილტონ ფრიდმანმა, მორის გინსბერგმა, კლოდ ვ. გილბომ, ბრუნო ლეონიმ, ჯონ უ. ნეფმა, მარგარეტ გ. რეიდმა, მაქს რაინშტაინმა, ჰანს როტფელსმა, ჰელმუტ შეკმა, ირენ შილზმა, ტ. ფ. ტ. პლაკნეტმა და ჯეიკობ ვაინერმა გამიზიარეს მნიშვნელოვანი დამოწმებები და ფაქტები, თუმცა მაინც არ არის ადვილი ყველას დასახელება, რადგან უთუოდ დამავიწყდა ბევრი სხვა, ვინც ამგვარივე დახმარება გამიწია.

წიგნის მომზადების ბოლო ეტაპებზე ფასდაუდებელი იყო ედვინ მაკ-ლელანის დახმარება. პირველ რიგში, მისი და, როგორც ვხვდები, მისის მაკლელანის კეთილგანწყობილი რედაქტირების წყალობით, ჩემი ფრაზები ნაკლებად ჩახლართული გახდა და ოდნავ გაადვილდა მათი წაკითხვა. დამატებითი შესწორებები შეიტანა ჩემმა მეგობარმა ჰენრი ჰეზლიტმა, რომელმაც ნაბეჭდი ტექსტის სუფთა ვარიანტის ნაწილი წაიკითხა და კომენტარები დაურთო მას. ასევე დავალებული ვარ ლუის ფერნისგან, შენიშვნებში წარმოდგენილი ყველა ციტატის გადამოწმებისთვის და ვერნელია კროუფორდისგან, საგნობრივი მაჩვენებლის მომზადებისთვის.

თუმცა წიგნი არ არის, დღეს ასე ჩვეულებრივ ამბად ქცეული, კოლექტიური შრომის ნაყოფი, — მე ხომ ასისტენტის დახმარების გამოყენებაც კი ვერ ვისწავლე ხეირიანად, — მაგრამ წიგნმა მაინც ბევრი მოიგო სხვა-დასხვა ფონდებისა და ინსტიტუტების მიერ გაწეული დახმარებითა და მოცემული შესაძლებლობებით. დიდად დავალებული ვარ ვოლკერის, გუგენჰაიმის, ერხარტისა და რელმის ფონდებისგან. კაიროში, ციურიხში, მეხიკოში, ბუენოს-აირესში, რიო-დე-ჟანეიროსა და ამერიკის სხვადასხვა უნივერსიტეტებსა და კოლეჯებში წაკითხულმა ლექციებმა საშუალება მომცა წიგნში განვითარებული ზოგიერთი იდეა არა მხოლოდ დამემუშავებინა აუდიტორიაში, არამედ შემეძინა გამოცდილებაც, რომელიც სასარგებლო აღმოჩნდა ამ ტექსტის წერისას. შენიშვნებში მითითებულია ის გამოცემები, სადაც ზოგიერთი თავის ადრეული ვარიანტები იყო გამოქვეყნებული და მე მადლობელი ვარ ყველა იმ გამომცემლისა და რედაქტორის, რომლებმაც ამ თავების წიგნში შეტანის ნება დამრთეს. ასევე მსურს, მადლობა ვუთხრა

დახმარებისთვის ჩიკაგოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას, რომლის ფონდები და ბიბლიოთეკათაშორისი აბონემენტი მუდმივად მამარაგებდა ყოველივე იმით, რაც აუცილებელი იყო მუშაობისთვის, საზოგადოებრივი მეცნიერებების სფეროში კვლევების კომიტეტსა და ჩიკაგოს უნივერსიტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტის მბეჭდავ-მემანქანეებს, რომლებმაც შავი ვარიანტების გადათეთრებისა და წიგნის ნაბეჭდი ტექსტის სუფთა ვარიანტის მომზადების საშუალება მომცეს და შრომითი რესურსებით მომამარაგეს.

მაგრამ ყველაზე მეტად კი ჩიკაგოს უნივერსიტეტის საზოგადოებრივი აზრის კომიტეტისა და მისი თავმჯდომარის, პროფესორ ჯონ უ. ნეფის მადლობელი ვარ, რადგან მან საშუალება მომცა რამდენიმე წლის განმავლობაში მხოლოდ და მხოლოდ ამ წიგნის დასრულებაზე მემუშავა, რასაც კი არ აფერხებდა, არამედ ხელსაც კი უწყობდა კომიტეტში მუშაობასთან დაკავშირებული ჩემი სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულება.